სალომე დვალიშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
salome.dvalishvili5@atsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2023.08.28

მეტაფორის გამოყენება ქართულ და ამერიკულ პოლიტიკურ დისკურსში

XXI საუკუნეში სატელევიზიო პოლიტიკური თოქშოუების როლი ძლიერ გაიზარდა. სულ უფრო იზრდება ინტერესი პოლიტიკური დისკურსისადმი. ეს იმით აიხსნება, რომ პოლიტიკური დისკურსი წარმოადგენს ისეთ მოვლენას, რომელსაც საზოგადოებაში გაცილებით დიდი ხვედრითი წილი უჭირავს, ვიდრე დისკურსის სხვა სახეებს. ამ საკითხზე საუბრისას მნიშვნელოვანია მეტყველების ქცევის განსაზღვრა. მეტყველების სტრატეგიებისა და ტაქტიკის შესწავლა ამჟამად აქტუალურია, რადგან ისინი საშუალებას იძლევა ამოიცნოთ პიროვნების მეტყველების ქცევა მოცემულ სიტუაციაში.

დღევანდელი ცხოვრება წარმოუდგენელია პოლიტიკის გარეშე. ამიტომ სულ უფრო იზრდება ინტერესი პოლიტიკური დისკურსისადმი. თანამედროვე ენათმეცნიერებაში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა პოლიტიკური დისკურსის პრობლემებს. ეს იმით აიხსნება, რომ პოლიტიკური დისკურსი წარმოადგენს ისეთ მოვლენას, რომელსაც საზოგადოებაში გაცილებით დიდი ხვედრითი წილი უჭირავს, ვიდრე დისკურსის სხვა სახეებს.

მიუხედავად საერთო ნიშან-თვისებებისა, ყველა ქვეყნის პოლიტიკური დისკურსი განსხვავებულია. მსგავსი ტიპის დისკურსს ახასიათებს კულტურის გამოხატვის უნარი. სხვადასხვაენოვან მედიადისკურსებს შორის არსებული განსხვავება განპირობებულია განსხვავებით რომელიც არსებობს ისტორიებში, სოციოკულტურულ კონტექსტებსა და ჟურნალისტურ საქმიანობებში. საზოგადოებაში მიღებულია აზრი, რომ მეტაფორა არის მხატვრული წარმოსახვის ხერხი და რიტორიკული მაღალფარდოვნება და, აქედან გამომდინარე, თითქოს სცილდება ჩვეულებრივი/ნორმალური ენის ფარგლებს. უფრო მეტიც, მეტაფორა ტიპურად განიხილება როგორც მხოლოდ ენის მახასიათებელი, როგორც სიტყვები, და არა აზროვნება ან ქმედება [4]. თუმცა ლაკოფი ამბობს, რომ საქმე რადიკალურად განსხვავებულ შემთხვევასთან გვაქვს და რომ მეტაფორა გავრცელებულია ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. არა მხოლოდ ენაში, არამედ ჩვენს აზროვნებასა და ქმედებაში და რომ მთლიანად ჩვენი ცნებათა სისტემა თავისი ბუნებით ფუნდამენტურად მეტაფორულია [6].

ცნობილია, რომ პოლიტიკა ეხება ძალაუფლებას, გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლებას, ძალუფლებას გააკონტროლოს და მანიპულირებდეს სხვისი ქცევით და აზროვნებით და გააკონტროლოს მათი ღირებულებები. ენას აქვს საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების ძალა.

მეტაფორა არის ინსტრუმენტი, რომელიც დიდი დოზით გამოიყენება პოლიტიკაში. ის ითვლება ძლიერ იარაღად, რომელსაც პოლიტიკოსები ხშირად იყენებენ თავიანთ გამოსვლებში მსმენელის გრძნობებით და მოსაზრებებით მანიპულირებისთვის, ასევე სხვისი ღირებულებების გასაკონტროლირებადაც კი.

მეტაფორას აქვს დამარწმუნებელი ძალა, რადგან ის თავის თავში აერთიანებს პრაგმატიკულ, კოგნიტურ და ლინგვისტურ ცოდნას კულტურის, იდეოლოგიისა და ისტორიის გათვალისწინებით [2]..

ტრადიციული გაგებით, მეტაფორა სემანტიკის სფეროს განეკუთვნება, ლევინსონის თანახმად „ნებისმიერი მეტაფორის მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორც ჩანს, მოიცავს ეგრეთ წოდებულ „კონოტაციურ ორაზროვნებას“, სიტყვების გარკვეულწილად შემთხვევით და არა განმსაზღვრელ თვისებებს, რეფერენტების ფაქტობრივ თვისებებს და, შესაბამისად, ზოგად ცოდნას სამყაროზე. ეს ყველაფერი სცილდება სემანტიკის სფეროს“ [5:150].

რაც შეეხება პრაგმატულ მიდგომას ეს დაფუძნებულია იმაზე, რომ გამონათქვამის მეტაფორული შინაარსი არ გამომდინარეობს სემანტიკური ინტერპრეტაციიდან, მაგრამ სემანტიკა უზრუნველყოფს გამოთქმის პირდაპირი/ლიტერატურული მნიშვნელობის ან ტრადიციული შინაარსის დახასიათებას, შემდეგ კი კონტექსტთან ერთად. პრაგმატიკამ უნდა მოახდინოს მეტაფორული ინტერპრეტაციის უზრუნველყოფა [5: 156].

ლევინსონის მიხედვით, მეტაფორის ინტერპრეტაცია უნდა გამომდინარეობდეს ჩვენი ზოგად უნარიდან, ვიფიქროთ ანალოგიებით [5:161]. ფრიდრიხის აზრით, „მეტაფორა არის ანალოგიის მხოლოდ ერთი ტიპი და ანალოგიური ტექნიკისა და ასოციაციური აზროვნების ბევრად უფრო ფართო კონტექსტის ნაწილი“ [3: 4].

"პოლიტიკა გულისხმობს განსხვავებების შეჯერებას დისკუსიისა და დარწმუნების გზით. ამიტომ კომუნიკაცია მთავარი რამ არის პოლიტიკისთვის“ [1: 3-4]. პოლიტიკური აქტივობა შეუძლებელია ენის გამოყენების გარეშე. დისკურსში ენის გამოყენებას კი აქვს თავისი კონკრეტული პრაგმატული დანიშნულება ანუ მიზანი. პოლიტიკოსთა მეტყველებაში ენის (სხვადასხვა ვერბალური ფორმულირებების) მნიშვნელოვნება აღიარებულია თავად პოლიტიკოსების მიერ. ამიტომაცაა, რომ მიკრო დონეზე ისინი სულ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ ენის ფორმულირების და ფრაზეოლოგიის (ე.წ. wording and phrasing) დიზაინს მათ წინაშე მდგარ გამოწვევებზე სათანადოდ რეაგირებისათვის და ამისთვის, ხშირად, პროფესიონალ speech-maker-ებს და ორატორებსაც კი (დღევანდელი ტერმინოლოგიით, PR-ს) მიმართავენ დახმარებისთვის. მიკრო დონეზე (პოლიტიკოსთა ინტერაქციისას) პოლიტიკოსები იყენებენ სხვადასხვა მეთოდებს თავიანთი მიზნის მისაღწევად: დარწმუნებას, რაციონალურ არგუმენტაციას, ირაციონალურ სტრატეგიას, მუქარას, ქრთამს, მანიპულაციას – ნებისმიერ რამეს რაც, მათი აზრით, სასურველ შედეგს მოიტანს. ყველა ამ მეთოდის წარმატებით გამოყენება კი გულისხმობს ენაში არსებული სტრუქტურების, მათ შორის, მეტაფორის, წარმატებით გამოყენებას [4].

პოლიტიკურ დისკურსში დარწმუნების ერთ-ერთ ინსტრუმენტად, შესაძლოა ჩაითვალოს მეტაფორა. პოლიტოლოგები ხშირად იმასაც ამბობენ, რომ პოლიტიკოსის წარუმატებელი გამოსვლა პირდაპირ კავშირშია ამომრჩევლების დასარწმუნებლად არასაკმარისი რიტორიკული ხერხების გამოუყენებლობასთან. ყურადსაღებია ის, რომ პოლიტიკურ დისკურსში იქნება ეს თოქშოუებში დებატები თუ ამომრჩევლისადმი პირდაპირი მიმართვა, ვერბალურ კომუნიკაციას საკვანძო მნიშვნელობა ენიჭება.

ენა მეტაფორების გარეშე ვერ ემსახურება მისი მომხმარებლების კომუნიკაციურ საჭიროებებს ისე ეფექტურად როგორც ენა, რომელსაც ისინი აქვს/გააჩნია.

არსებობს მეტაფორები, რომლებსაც გლობალური მნიშვნელობა აქვთ. მაგალითად Berlin wall- ბერლინის კედელი, რაც ცივილიზაციის გავრცელების დამაბრკოლებლად აღიქმება. Dark horse – კანდიდატი, რომელიც აუტსაიდერად იყო განთესილი, მაგრამ

ყველასათვის მოულოდნელად წარმატებას აღწევს (არჩევნებში). სწორედ ასეთად ითვლებოდა დონალდ ტრამპი, რომელმაც 2017 წელს დაამარცხა ჰილარი კლინტონი და ამერიკის ორმოცდამეხუთე პრეზიდენტი გახდა.

გამარჯვებისას წარმოთქმულ სიტყვაში ტრამპმა თქვა: "Now it's time for America to bind the wounds of division." (https://www.france24.com/en/20161109-usa-video-presidential-trump-bind-wounds-division-victory-speech) "ახლა დროა ამერიკამ შეიხვიოს გახსნილი ჭრილობები." რა თქმა უნდა, ფრაზის „to bind the wounds of division" -ის გამოყენებისას აქ იგულისხმება რომ უნდა მოხდეს ორად გაყოფილი ერის გაერთიანება.

ჰილარი კლინტონი ერთ-ერთი გამოსვლისას ამბობს: "Now, I know we have still not shattered that highest and hardest glass ceiling, but someday someone will". (https://graziadaily.co.uk/life/real-life/hillary-clinton-concession-speech/) //„ახლა, მე ვიცი, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ დაგვიმსხვრევია ეს ყველაზე მაღალი და მყარი მინის ჭერი, მაგრამ ოდესმე ვინმე ამას გააკეთებს." მეტაფორა „glass ceiling" - მინის ჭერი, გამოიყენება უხილავი დაბრკოლებების აღსანიშნავად, რომლებიც ქალებს სამუშაო ადგილებზე აქვთ.

ქართულ პოლიტიკურ სივრცეში გავრცელებული არის ასევე ლოკალური მეტაფო-რები, რომელიც მხოლოდ ჩვენი საზოგადოებისთვის არის გასაგები. მაგალითად „პოლიტიკური კიკუ". ყველასათვის ცნობილია, რომ კიკუ არის ჭაბუა ამირეჯიბის რომანის „დათა თუთაშხია"-ს გმირი, რომელიც ფულის სანაცვლოდ სხეულით ვაჭრობს.

ტელეკომპანია „იბერიის" თოქშოუში „პრიორიტეტები". ირაკლი ღლონტი პარტიიდან "პაატა ბურჭულაძე – მოძრაობა სახელმწიფო ხალხისათვის", გოგი თოფაძის პარტიის „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" წარმომადგენელს ზაზა აგლაძეს შემდეგი ფრაზით მიმართავს: „თქვენ ხართ პოლიტიკური კიკუები. გოგი თოფაძის პოზიციები პირდაპირ არის რუსულ წისქვილზე წყლის დამსხმელი."

„ანუ ჩვენ კიკუები ვართ? ჩვენა ვართ კუკუები ბიჭო? ნაბიჭვარო" ეუბნება აგლაძე. პოლიტიკოსები ერთმანეთს ჭიქებს ესვრიან და ხელჩართულ ბრძოლაში ერთვებიან. (https://www.youtube.com/watch?v=e0jZeJWdMm0).

ერთ ერთ გადაცემაში ლეიბორისტული პარტიის ლიდერი, შალვა ნათელაშვილი მიხეილ სააკაშვილზე ამბობს: „რას შევარდა პარლამენტში აბორიგენთა ტომის ბელადივით?!"

ასევე ცნობილია შალვა ნათელაშვილის შემდეგი გამოთქმა:

"ორი ამოუხსნელი ამოცანა აწუხებს კაცობრიობას: არის თუ არა სიცოცხლე მარსზე და რამდენი ამომრჩეველია საქართველოში."

ლეგიტიმურია კითხვის დასმა თუ რატომ არის მეტაფორის გამოყენება წარმატებული პოლიტიკურ დისკურსში? მეტაფორას მნიშვნელოვანი პრაგმატიკული ფუნქცია აქვს. გარდა იმისა რომ მეტაფორის საშუალებით მოსაწყენი პოლიტიკური ტექსტები უფრო მიმზიდველი და საინტერესო ხდება, მის გამოყენებას შემდეგი პრაგმატული მნიშვნელობაც ენიჭება:

- არგუმენტების ჩამოყალიბება
- სათქმელის არაპირდაპირი გზით გადმოცემა
- იმის გადმოცემა რაც პირდაპირი მნიშვნელობით რთულია
- არაკორექტული ტერმინოლოგიის გამოყენებისგან თავის არიდება
- მსმენელისათვის და მაყურებლისთვის მეტი სიცხადის შემოტანა

ლიტერატურა:

1. ჰეიგი რ. (1998) : Hague, R. Harrop, M. Breslin, Sh. (1998) : Comparative Government and Politics, London: Macmillan Publishers Limited

2. ჩარტერის ბლეკი ჯ. (2004): Charteris-Black, J.(2004): Corpus Approach to Critical Metaphor Analysis/ Houndmills, Basinstoke, Hampshire: New York: Palgrave Macmillan

3. ფრიდრიხი პ.1986: P. Friedrich,(1986): The Language Parallax, Linguistic Relativism and Poetic Intermediacy, Austin, TX, University of Texas Press

4. პეტრიაშვილი, ი. (2009): მეტაფორა და პოლიტიკური დისკუსიის პრაგმატიკა, სემიოტიკა, სამეცნიერო ჟურნალი, #6. 20-31, ი. ჭავჭავაძის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და კულტურის კვლევის ფაკულტეტი, სემიოტიკის კვლევის ცენტრი

5. ლევინსონი ს. (1983): Levinson S. C. (1983): Pragmatics. Cambridge: Cambridge University Press

6. ლაკოფი ჯ. და ჯონსონი მ. (1980): Lakoff, G. & Johnson, M. (1980): Metaphors We Live By, Chicago: University of Chicago Press

ინტერნეტ რესურსები:

1. https://graziadaily.co.uk/life/real-life/hillary-clinton-concession-speech/
2. https://www.france24.com/en/20161109-usa-video-presidential-trump-bind-wounds-division-victory-speech
3. https://www.youtube.com/watch?v=e0jZeJWdMm0

Salome Dvalishvili

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

The use of metaphor in Georgian and American political discourse

Abstract

The twenty-first century turned out to be quite difficult in many ways. Accordingly, the role of television political talk shows has greatly increased. Interest in political discourse is growing. Speaking on this issue, it is important to define speech behavior. The study of speech strategies and tactics is currently quite relevant, as they allow to identify the speech behavior of a person.

However, it should be noted here that despite the common features, the political discourse of all countries is different. A similar type of discourse is characterized by the ability to express culture. The difference between media discourses in different languages is due to the difference in histories, socio-cultural contexts and journalistic activities. It is in this kind of discourse that politicians use various metaphors in order to influence the voters or degrade the opponent.

Metaphor is a tool that is heavily used in politics. It is considered a powerful tool that politicians often use in their speeches to manipulate the feelings and opinions of listeners, and even to control the values of

others. Metaphor has persuasive power because it combines pragmatic, cognitive, and linguistic knowledge with culture, ideology, and history (Charteris-Black 2004).

According to Levinson, the interpretation of metaphor must derived from our general ability to think in analogies. According to Friedrich, "metaphor is only one type of analogy and part of a much larger context of analogical devices and associational thinking".There are also local metaphors common in the Georgian political society, which are understandable only to our society. For example, "Political Kiku". Everyone knows that Kiku is the hero of Chabua Amirejibi's novel “Data Tutashkhia”, who sells her body for money.